

კარი ერთოსტელი

კოლხეთი  
ფსალმენი

100-ტომეული




გამომცემლობა „კარისალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

# კუსა ექისტელი



## კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული  
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# კუკა ეჭილელი



კოლეური  
ფსალმუნები

ტომი 43

2020



მთ. რედაქტორი

## გაია მირცხულავა

ბიოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი,  
საქართველოს მწერალთა და  
მეცნიერებათა აკადემია  
„ქალდეა-საქართველო“-ს  
აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცერსალი“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოს საადას №4, ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-850-2 (43 ტომი)



\* \* \*

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის ამონდობია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სმირნოვა-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაჟა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ტომი, რომელმაც ორიათასზე გაუტი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა აკადემიის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის არმიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმაცანის მედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მარის ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კონსილისტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთ-სამცნეომრო კაკადემიის ვიცე-კონსილისტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შალგუნების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შალგუნების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიგრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიურულს გამოვიდა „კოლეჯი შალგუნების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასიკური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კონსისტრი ერო-სხად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შალგუნების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მოერალი) და ორი ვაქიობილი ზურაბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





## პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვის რომ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, რომ აზანზარებს ჩემად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შალმუნე-ბის“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხამაბაღლა ვაცხადებ: ვა-შა მცირებული არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს სამზისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ყელასგან იაზონება მედვეასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მთიული ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპავე, კოეტმა იქროს საღმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ იმდონინდები სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მთიული, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავა.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გვე-ლუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

### გულახ ხარაიზვილი

კოეტი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,  
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა  
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულიფიად შესვლი ყოველ შებას, ყოველ ძაბებას.“

ა. პუშკინი

## წინასიტყვაობის მაგიერ

(გაგრძელება)

ეს ლექსი ნათელი ილუსტრაციაა ხალხის გმორული სულის ჭეშმარიტი გამოხატულებისა. პოეტის რეალიზმი ეყრდნობა ისტორიულ ფაქტსა და რეალობას, ცხოვრების სინამდვილეს, მის უმთავრეს აზრს – სამშობლოს ბედ-იღბლის, ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მამულიშვილურ მოვალეობას, რომლის ფინალში ვლინდება უმაღლესი პუმანიზმი. პოეტის ეს ლექსი აღსავსეა მართალი პოეზიის აზრით და სულით. ეს არ არის ვერაგულად მოკლული მამულიშვილისადმი მიძღვნილი მისტიკური სიმღერა, არამედ ქებათა-ქებაა სიცოცხლისა, რომელიც ადამიანებს ადავსებს თავისუფლების წყურვილით და მამულისათვის თავგანწირვის დიადი ენერგიით.

გიორგი სააკაძის დირსეული შვილის დვთაებრივი სახე სალოცავ ხატად ხელისგულზე დაისვენა



მშობელმა ხალხმა. ვაჟა ეგრისელის ეს ლექსი სამუდამოდ რჩება მკითხველის მეხსიერბაში, ვითარცა უმაღლესი ესთეტიკური ტკბობისა და განსჯის ნიმუში, რასაც მხოლოდ ჭეშმარიტი ხელოვნება თუ წარმოშობს ხოლმე. პოეტი სხივნათელი მამულიშვილის პაატა სააკაძისადმი უჩვეულო თაყვანისცემას და მადლიერებას გამოხატავს ჭეშმარიტი სულიერი აღფრთოვანებით. იგი ესიტყვება იმ შთაბეჭდილებათა სიღრმეს, რომელიც მან მოახდინა და იმ კვალს, რომელიც მან განვლო ისტორიის ბედუკულმართ გზაზე:

\*

„მიაქვს სამშობლოს ბოლმა და დარდი,  
ქართული ხმალი  
და ჯვარი ვაზის –

მისთვის ქცეული სალოცავ ხატად,  
და...

საქართველოს ისტორიის უკუღმართ გზაზე,  
ვით მამა მისი,

მარტოდ-მარტო

მიდის პაატა“...

მთელი ეს პოეტური ქმნილება ქართველი ოსტატი მესანგრის ხელითაა დანაღმული. საკმარისია სტრიქონს გონების ხმა მიწვდეს ან თვალი შეავლო, რომ წამსვე ჯაჭვური რეაქცია დაიწყება, პოეტის

სიტყვა კოველ შეხებაზე ელგარებს და ალმასივით  
სულ ახალ-ახალი ძალის ხმევით ბრწყინავს.

ისტორიას უცნაურობები ახასიათებს, ბოროტების ჟინმორეული მტაცებელი შაპ-აბასი ლომგმირ სააკაძის უსაყვარლესი ძის პაატას მოკვეთილი თავით „ასაჩურებს“, ეს იყო წმინდა მსხვერპლი გაღუბული საქართველოს თავისუფლებისათვის და იყო ცრემლი, გლოვა და თავგანწირვა დაუნანებელი... ქართველმა ხალხმა გულმდუღდარედ დაიტირა პაატა სააკაძე და მისი წამებული ნეშტი ერთაწმინდის ეპლესის მიწას მიაბარა. „მოგონებები მიიკვამლება ერთაწმინდისკენ, მიღმა იკორთის, სამშობლოს ცაზე შვილო პაატა, კარგი ჩანს დარი, მაგრამ წარსულ გულს კვლავ მიკორტნის, როგორც ეკალი ქუსლში ჩამტყდარი“... სადაც რომ პაატა შობილა, ის მიწა ჩვენთვის დმერთია“. ამ ლექსებიდან გამუდმებით მოისმის ძველი საქართველოს მამულიშვილთა შემართებული საომარი ყიუინაც და დრტვინვაც, გმირთა ომახიანი შეძახილიცა და ურვაც, მან შეულამაზებლად, ფერუმარილის გარეშე ღირსეულად შეამკო სააკაძის გმირული შემართება, რომელსაც სამშობლოსათვის არ დაუზოგავს ძმა, ძენი და ასული, ვკითხულობთ ამ პოეტურ ქმნილებებს და გვესმის სააკაძის საბრძოლო ცხენის ფლოქების თქარუნი, ლაგამავჭრის ხვრა, ხმლების ჩახაჩუხი, შუბის მტერზე კვე-



თების ხმაური ომმოგებულთა ძლევის გამყინავი ყიფინაც და დამარცხებულთა გულსაკლავი გოდებაც.

ვაჟა ეგრისელი ძველი საქართველოს დაუმცხერალი ჭირისუფალი, მოზარე და დამტირებელია, სააკაძის ვარამითა და სევდით გულგასენილი და მისი გმირობის სამზეოზე გამომტანი პოეტია, სწამს და სჯერა ერთიანი საქართველოს ხატი. ხალვერდალივით მწველი და აღმგზებია მისი სტრიქონები. წერალივით იფრქვევა მისი სიტყვა გიორგი სააკაძის საბრძოლო ეპიზოდების გადმოცემისას. მან შეძლო საუკუნეთა სიღრმეში შეჭრა და მთელი არსებით გვაჩვენა გიორგი სააკაძის სიყვარული საქართველოსადმი. გიორგი სააკაძეს თავისი ხალხის ღირსება იმ ძალით უყვარდა, რომ გარდა თავგანწირვისა, არაფერი ახსოვდა. რამეთუ ძალი სიყვარულისა დიდი არს რაღან შეუძლებელს შესაძლებლად პყოფს...

და ხალხი მუდამ მადლიერია შემოქმედისა, რომელიც ხორცს შეასხამს მის იდეალებს, განუმეორებელი, განსაცვიფრებელი ფორმით და რომ პოეტი, რომელიც ერთმანეთს შეუთავსებს გამოსახვის სიმართლესა და ობიექტურ ჭეშმარიტებას, საკუთარ შეხედულებებსა და ერის სულისკვეთებას, ძლევამოსილ ჰუმანიზმს, იმსახურებს უმაღლეს ჯილდოს – ხალხის სიყვარულს.

გიორგი სააკაძის გმირული საბრძოლო ეპიზოდების გაცოცხლებით ვაჟა ეგრისელმა შთამბეჭდა-



ვად განგვაცდევინა მამულს თავსდატეხილი უბედურება, სისხლი და ცრემლი, მგლოვიარე ჩვენი წინაპრების გულის კვნესა და გოდება, მაგრამ ეს ტკივილი მის პოეზიაში შემოდის, როგორც ზნეობრივად ამაღლებული და სულის გამაკეთილშობილებელი პოეტმა სიღრმისეულად, მეტად შთამბეჭდავად და გონიერად გამოხატა ჩვენი ერის ყოფის ტრაგედია, დიდი ძალისხმევით განგვაცდევინა ძალა და შეუვალობა იმ რწმენისა რამაც გააძლებინა ჩვენს სამშობლოს.

„მთების ქვაბში დუღს მარაბდა  
და ლალატის ფრინველი იქ,  
სიძულვილის დაბალ ტოტზე  
ბუდეს იქსოვს და იკეთებს  
და შიგ ჩეკავს  
ჯვარისმცემელს, თვალისმთხრელს და თავის-  
მკეთელს!“

აკი მარაბდის ბრძოლის დაწყებისას გამარჯვებაც ახლოს იყო თითქოს, მაგრამ მტრის დამხმარე ძალის მოშველიებამ უპირატესობა ყიზილბაშთა მხარეზე გადაიტანა. ბრწყინვალე გამარჯვება მარტყოფის, საწყენი დამარცხება მარაბდის, ‘სააკაძის საბრძოლო მიზნები, გონივრულ სრულყოფას ესწრაფ- ვოდნენ. მაგრამ წინააღმდეგობა იყო ისეთი, რომე-



ლიც არ ანებებდა, თუნდაც საბრძოლო, გინდ ეროვნულ პოზიციებზე დგომას, რაც უშლიდა ქართველი კაცის ბუნებას ხედს. არადა ნორმალურ ატმოსფეროში როგორ გაიფურჩქნებოდა სააკაძის ნიჭი და შესაძლებლობანი. გიორგი სააკაძე დიდ სიღრმეთა წვდომით ხედავდა იმ დირსებასაც და ნაკლსაც, რაც მის ქვეყანას ფეხდაფეხ დასდევდა. იგი იყო დიდი ტოლერანტი და მიმტევებელი.

ვაჟა ეგრისელის განსაციფრებელი და შთამბეჭდავი პოეტური კოლოსარული ძალისხმევით ამზეურებს ჩვენი ეპოქის დირექულებებსა და ფასეულობებს და უნივერსალური სიყვარულის ხაზება პროვოცირებული მისი შინაგანი სამყაროს ფილოსოფიური იმპულსები. პოეტი ლექსის კომპოზიციაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიულ დეტალებსა და მოტივებს ამა თუ იმ მხატვრული ამოცანის გადასაწყვეტილ, ლექსის იდეური ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად. საზღვარი არა აქვს პოეტის ფანტაზიის უსაზღვროებას, სულისა და გონის სიკეთის იდუმადლებათა აღმტაც სილამაზეს.

ვაჟა ეგრისელის გიორგი სააკაძისადმი მიძღვნილი ლექსები სრულ უფლებას მაძლევს ვთქვა: ვაჟა ეგრისელი ხალხის საყვარელი პოეტია, რამეთუ „მარტო საერთო სიყვარულით გამსჭვალული კაცია უძლეველი და გამარჯვებული. ღმერთი ამისთანა



კაცს სწყალობს და ქვეყანა ამისთანა კაცისაგან  
ჰრიგდება და კეთდება.“

ვაჟა ეგრისელი ბრწყინავს ვითარცა მიჯნური  
მამულისა და ვითარცა გმირი, რაც მთელი არსებით  
ვლინდება მის ლირიკულ ლექსებში. მთავარი მანც  
მის ლირიკულ პერსონაჟში რომ ცოცხლობს, გან-  
საზღვრავს ქართველი კაცის ყოველ მოქმედებას და  
არის მისი გონება. პოეტმა „კოლხური ფსალმუნე-  
ბით“ მიგანიშნა, რომ უმთავრესია ერი და სამშობ-  
ლო. ეგრისელის ფიქრი და ოცნება სამშობლოს დას-  
ტრიალებს თავს. იგი ვერ ურიგდება გახლეჩილ-და-  
სახიჩრებულ საქართველოს. იგი ძალუმად ებრძვის  
მამულის გამყიდველებს, სელმრუდე მამულიშვი-  
ლებს. პოეტი ლაპარაკობს ჭეშმარიტი პატრიოტის  
ენით. ლაპარაკობს იმ კაცის გულდაჯერებით, რო-  
მელმაც უკვე იგემა ცხოვრების სიმწარე და იგრძნო  
ომის მთელი სიმძიმე, რომელიც უკვე დაუფლებია  
ჭეშმარიტებას:

\*

„ცამეტ ვერცხლად სულგაყიდულო,  
სატანასთან ნაამბორებთ,  
სხვის სუფრაზე მადით ნარებთ.

სააკაძე თქვი შენ,  
ოორემ,  
რა გამოლევს შადიმანებს“...



იმ ვითარების ფონზე ძალზე მნიშვნელოვანია ფიქრი, გრძნობა და აზრი პოეტისა, რომელიც მტკიფნეულად განიცდის მამულის მძიმე მდგომარეობას, რაც განსაკუთრებით ძნელი ასატანია და პოეტი ავლენს სევდით ავსილ გულის ტკივილებს.

\*

„ქართველს დედა-წულიანად,  
რომ მილალავს  
როგორც ფარას –

შაჲი, მართლა ნადირია...“

და...

მარაბდის ველს რომ ფარავს,  
ნისლი არა,

აქ დაცემულ –  
ცხრა მმის დედის მანდილია“.

ვკითხულობთ ამ სტრიქონებს და ცხადად გრძნობთ, რომ ეს ჩვენი წარსულისა და ისტორიის შეუმცდარი შეფასებაა, მაგრამ „ცხრა მმის დედის მანდილი“ ჩვენში საოცარ ასოციაციას აღძრავს და გვარწმუნებს ერის უკვდავებაში. რამეთუ დღესაც ჩვენი ერის დღეგანდელი ტრაგედია გაპირობებულიდ შუდლითა და შურით, მაგრამ პოეტი თავს აღწევს ცხოვრების დამთრგუნველ ამ წვრილმანებს და ყოველივე იწყება მამულის სიყვარულიდან, როცა საცნა-



ური ხდება ქართველი კაცის სიყვარული მშობლიური მიწისადმი. პოეტი თანამედროვეობას უზიარებს სანუკვარ ოცნებას:

\*

„აელვარებენ ვარსკვლავები  
ოქროს სამხრეებს  
და დარაჯობენ სივრცეთა ქარებს.  
სიშორის ტოტზე ბრწყინავს ნეონი.  
და მნათთა სისხლით მორწყულ ცის ველს  
მწუხარე მოვარე  
გასცემრის ისე,  
ვით ვატერლოოს –  
ნაპოლეონი.

პოეტი ვაჟა ეგრისელი დაჯილდოებულია რთული პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ვითარების განსჯის დიადი უნარით და ჭეშმარიტი მისნური ძალით ჭვრეტს მომავალს, მისთვის ჩვეული გულგაუჩებლობით, სადად და უბრალოდ ლაპარაკობს ხალხისა და სამშობლოს სილამაზეზე, პოეზიისადმი თავის სიყვარულზე:

\*

„კოლხთა ზღაპრულ წარსულიდან –  
ბდავილი სულ მესმის  
ვერძის,



ზაფხული თუ ზამთარია.

და...

მე სიტყვის დევებს ვებრძვი –  
ბაყბაყსა და ცხრათავიანს“.

ვაუა ეგრისელი, როგორც ყველა ჭეშმარიტი შე-  
მოქმედი, მტკიცნეულად განიცდის ჟამთა დინებას,  
რომელიც ოვითონ მოებმაც ვერ შეაჩერეს და რომ-  
ლის გარდაუვალ შედეგსაც პიღევ ერთხელ ახსენებს  
პოეტს დაშლილი ციხის გალავანთან დაყრილი ქვე-  
ბი. სად გაქრნენ ის პირტიტველა მეციხოვნენი, რო-  
მელთაც თვალებში საქართველოს ცა უბრწყინავ-  
დათ? ვაუა ეგრისელმა ისტორიის მტვერი ჩამობერ-  
ტყა მათ სახელებს და მათი ადამიანური ხატის  
მშვენიერებას გვაზიარა. იგი გვარწმუნებს, გვაჯე-  
რებს იმაში, რომ ამ გმირებს მტერმა ვერ აპატია  
სამშობლოს სილამაზე:

„მიკაფ-მოკაფეს საქართველოს ცა და ვენახი,  
მაგრამ საფლავში ვერ დამარხეს, ვერ ჩატიეს“

პოეტი უჩვეულო გულწრფელობით, ბუნებრიო-  
ბით ლაპარაკობს დვართქაფით მოვარნილ მამულის  
სიყვარულზე, რომელიც ეველაფერზე უძვირფასესი  
და სანუკვარია:

\*



„ათასწლეულთა ბარე ორიდან.

მე მას ვუმდერო.

იცით ვინც არის.

ვისი სიცოცხლის მე ვარ მსურველი,

ვინც არის ჩემი დასაფიცარი.

ვისიც მწვავს ტრფობა

განუკურნელი“.

„პოეტური სიტყვა, ფერები და აზროვნება, რომელიც ქართველ მკითხველს შესთავაზა ვაჟა ეგრისელმა, არა მხოლოდ მნიშვნელოვანი ლიტერატურული ფაქტი, არამედ ღირშესანიშნავი ფილოსოფიური მოვლენაა საერთოდ – იმ გაგებით, რომ იგი, როგორც პოეტი-მოაზროვნე და პოეტი-ნოვატორი, ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებაში, ცხოვრებისეულ რეალობათა შემეცნებაში სრულიად ახალ მიდგომებს, ხედვებსა და მასშტაბებს ამკვიდრებს“. ჩემი ლრმა რწმენით, ვაჟა ეგრისელის საქართველოს ისტორიული წარსულისადმი მიძღვნილი ლექსები რწმენისა და იმედის გასაღვივებლად არის დაწერილი. ‘ლოჭინს‘ გამომცდარი შათირი, ხუნდებში გაბმულიქედანი, დიდთურქობა და ოემურლენგობა, სისხლით დაორთქლილი ხმლები, კვამდში აბდაგებული ხარები, სისხლით მორწყელი ქართლი, სამცხე თუ კრწანისი, მარტყოფი თუ ტაშისკარი, მარაბდა და ქსანი მხოლოდ საქართველოს ისტორიული წარსულის წიაღი-



დან არეკლილი შთაბეჭდილებელი როდია, არამედ  
დღევანდელ საქართველოში დატრიალებული ტრაგე-  
დიის უშუალო გამოძახილია:

„დაჩენჩხვილ შავებს იცვამს შავი ზღვა,  
ტყვია ნაკრავი თბილისი გდია უსულოდ  
და ჩვენი მტრების გულგასახარად,  
გადამწვარი და გადატრუსული ქართული მიწა  
იქცა საპარად“

ესაა დრმა ანალიზი ჩვენი დღევანდელობისა, იმ  
სავალალო სინამდვილისა, რომელიც 1992 წლიდან  
საქართველოს ტერიტორიაზე დატრიალდა, შეიძლება  
ითქვას, რომ ვაჟა ეგრისელმა კარგად უწყის, რას  
ნიშნავს დროთა კაფშირის დარღვევა. მას შეგნებული  
აქვს თავისი პოეტური მისია, იგი ჭეშმარიტად პატ-  
რიოტული განწყობის პოეტია, რომელიც უელამდევა  
ჩაფლული თავისი ქვეყნის საზრუნავ საფიქრალში.  
მართლაცდა ცამდე მართალი ყოფილა არისტოტელე,  
პოეზიის სასწაულმოქმედებაზე რომ მიგვითოთებდა,  
ვაჟა ეგრისელის ლექსებმა ისტორიაშიც ჩაგვახედა  
და თანამედროვევების განსჯის საშუალება მოგვცა.

პოეტის ეროვნული ენერგია მოწიდებულია ნიღ-  
ვარივით მოვარდნილ მტერთან შესარკინებლად. პოე-  
ტის ლირიკულმა გმირმა კარგად იცის, რომ სრული  
პარმონია მოსაწყენია და მომაბეზრებელი, რომ ადა-



მიანის რაობა მუდმივი სრულყოფისაკენ სწრაფვით  
იზომება და ერთ-ერთი მეგზური ამ გზაზე შუქნაოე-  
ლი მთვარეა:

\*

„როცა მთვარე შუქნაოელი,  
ამოვიდა ღრუბლის შავი დილეგიდან.  
მაშინ დამეტ,  
პირმშვერიერ  
დილის კართან –  
კვლავ ჩაიწყო მნათობების ქილები და  
აიკეცა შავი ჩოხის შავი კალთა“.

ამ ლირიკულ ლექსში მთვარის შუქით შემოგვა-  
ნაოებს სიყვარულის მდინარესავით მარადმდინარი  
და მარადხანიერი გრძნობის ძალმოსილება და ისევ:

\*

„ვითარცა ადრე,  
დიდი ხნის წინათ,  
წვეთავს და წვეთავს მირონი ნათ-  
ლის –  
ქართული ცის ქავშ წუთებს და წამებს,  
გახამებული და მოქათქათე  
მთვარის პერანგი აცვია დამეს“.



ასეთი სხარტი და ლაკონიური ფრაზები გახე-  
დებს უკან და უპირველს ყოვლისა ერის სვებედზე  
გაფიქრებს:

\*

„ბილიკად გდია ათასწლეული,  
ზედ ჩემი კოლხი წინაპარი  
მიდის ოხვრით – და,  
თვალებს ცრემლი სდის, ვით საკვამურებს  
და ნათლად ვხედავ:  
ამოფრენილს მისი ქოხიდან –  
ქარი ვით ფანტაზს კვამლის დამურებს.“

წინაპრის ქოხიდან ამოფრენილი ქარი პერსონა-  
ჟის, ხალხთა თავისუფლებისათვის მებრძოლი გმი-  
რის ჭეშმარიტი სიმბოლოა. მასშივე კოდირებულია  
კაცობრიობის მომავალი ნათელი იმედი და ამგვა-  
რად ხდება გასაგები „კვამლის დამურების“ მოგერი-  
ება და პოეტის მიზანია ყოფიერების დასასრულისა-  
კნ დაქანებულ კაცთა მოდგმას სიყვარული მოუვ-  
ლინოს მხსნელად, რამეთუ პოეტს ღრმად სჯერა სი-  
ცოცხლის მარადისობისა, რა ვუყოთ თუ „ჩვენი სი-  
ნამდვილე მწარე სინამდვილეა“.

მაინც:



\*

„თოვლქვეშ მძინარი ია-იების  
ულურჯეს ეტლით –  
სიცოცხლე მოდის.  
ხეებზე ჰყვავის ფერი აქატის.  
და საფლავებზე  
დამხობილ ლოდებს  
ამძიმებთ პეპლის ჭრელი ფარფატი“.

### საქართველოს უგვირგვინო მეზე

ვაჟა ეგრისელის ლექსებში რეალური სამყაროა  
დახატული. თითქოს გინდა ირწმუნო პლატონის მო-  
საზრება: – რელური სამყაროს შინაარსს წინ მარ-  
დიული სილამაზე უსწრებდაო. მეჩვენება, თითქოს  
პოეტს რეალურის წინმსწრები მარადიული სილამა-  
ზის ხილვები გამოაქვს ქაღალდზე:

\*

„წარსული ცადა –  
დანისლული  
ბრძოლის ექოთი,  
ღრუბელთა რბოლა –  
წინაპართა უცხო ხეტება.



ცას მიკარგული ვარსკვლავები –  
ქალაქებია –  
ქალდეს, ქართების...  
და ომებით მთვრალი  
ხეთების“.

პოეტის მესსიერებამ ცნობიერების ზედაპირზე  
ამოატივებივა ისტორიის თარიღები – რეალური და  
შორეული ზმანებების ექო ცხადად გვაგრძნობინა:

\*

„დუმს ისტორიის ვრცელი მინდორი –  
გადანისლული უთვალავი  
ომის ექოთი,  
დიდი ხნის მერე, მთვარეულივით  
მაღალ თარიღთა  
თეთრ ჩონჩხებზე დავეხეტები  
და ნათლად ვხედავ:  
მიდიელნი,  
კოლხნი,  
ხეთები,  
თავიანთ ღმერთებს ზვარაჯს სწირავენ,  
ცისთვის შეუდგამთ ლოცვები და  
ავამლის სვეტები“.

(„მცხეთასთან“.)



ცნობილი კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი აკაკი თოფურია აღნიშნავდა: „ვაჟა მგრისელის მიერ ნოვატორული ძიება – მიგნებებით მიღწეული თვალსაჩინო შემოქმედებითი წარმატებანი ქართულ მხატვრულ შემეცნებაში ახალი გზის – ინტეიციური, ინტეიციური მისი სტილური ნიშნების გამკაფავად და შემომტანად გვევლინება.“

აქედან იდებს სათავეს მკაფიოდ გამოხატული მისი პოეტური ინდივიდუალობაც“.

### ციალა მასხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – ხახწაული და ფანტაზია  
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



\*\*\*

გაზაფხულის ცა წვიმას,  
პირში დაიგემოვნებს  
და ჩამოშლის დალალებს,  
მერე ელვით დაეძებს:  
ბნელში დამსხდარ  
დემონებს,  
ბებერ ჭინკებს და ალებს.

1971

## 0809018 შგამარილს

კლდეზე დგას თბილისი,  
 ვით ყარაჩოდელი  
 და ბუხრის ქუდივით ახურავს  
 მთაწმინდა  
 და მტკვარი არტყია,  
 ვით ვერცხლის ქამარი.  
 შენ კი უპოვარი,  
 პვლავ ნიშა სარივით  
 წევხარ და...  
 ლოკავ იმედის ქვამარილს.

2004



\*\*\*

ღრუბლები –

სამყაროს დარდია,

ელვა სველ ხელს რომ იწმინდავს.

და... ზღვები თვალებს რომ ადევნებენ –

წინაპრის ცრემლებია –

შადრევნებად,

ამოხეთქილი მიწიდან.

1962



## დაემხს ვრიდონს და გულაშაროს

საუკუნეთა მოუჩანს ეშვები

წარსულს და...

გარეულ ტახივით –

ხსოვნის შამბნარში გაიშლიგინებს.

ზვირთი ნაპირთთან მუდამ შარობს.

ქარს გადაუშლია ზღვა –

ვეფხის წიგნივით,

დაეძებს ფრიდონს და გულანშაროს.

1961



## მზის სხივი

აღმართს მიუყვება მზე –  
ამომავალი,  
თითქოს და მართლაც  
ბიჭობს და...  
ამაყობს პრომეთეს მისხივით.  
ჩემი მეგრული ფიცრულის  
ღრიჭოდან –  
ბავშვივით იჭყიტება მზის სხივი.

1959



## მზის მიხაბი

სულ თეთრი და ქათქათა  
 ეცვა ღრუბლის პერანგი  
 ცას –  
 და ტიციანივით –  
 ეკეთა მზის მიხაბი.  
 ახლა მოვარე ჰკიდია,  
 ბნელში ბუმერანგივით,  
 მიტომაა ელგით ცა,  
 პირ-სახეს რომ იხოკავს.

1961



## ალადასტური

ჩემმა პაპამ და პაპისპაპებმაც,  
ლხინის უღელში ბევრჯერ  
შეუბეს –  
ქვევრში მბორგავი ალადასტური,  
რომელიც ამბობს –  
ღვინოების ვარო მეუფე,  
კი ამბობს, მაგრამ არ ადასტურებს.

1996



## როცა შენი მზე ჩაიღვერება

დღეთა კურდღლებთან დეგნით  
 დაღლილი,  
 კართან გაწვება მწუხრი –  
 მწევრებად,  
 და ცა იშიშვლებს მთიებს წალდებად,  
 როცა შენი მზე –  
 ჩაიწვერება,  
 სამყარო მყისვე გაფერმკოლდება.

2003



## გარსკვლავების ხეივანე

ეჭვიანმა ქუხილმა,  
წვიმის კალმიოთ ნაწერი,  
ღრუბლის შავი წერილი,  
ელგას დაახევინა.  
ახლა მთვარე, —  
ქალწული,  
ტანის რხევით მიჰყება,  
ვარსკვლავების ხეივანს.

1962



## ლარსას, ლაგაშს, ქადეშის

რა დღეს,  
 რა ხვალ კოლხეთის –  
 ისტორიით დაგეშილთ,  
 მის უძველეს ქალაქებს –  
 მე მივართმევ ფეშქაშად:  
 ლარსას, ლაგაშს, ქადეშის,  
 ტუშფას,  
 ვანს და ბეჭთაშანს.

1964



## გერ წააქცევენ ქარები

შენს ღვთაებრივ მისტერიებს,  
ღამე ვერ მიეკარება  
და უამს არ დაემონება.  
ვერ წააქცევენ ქარები –  
სასახლეს –  
შენი გონების.

1996



## ଓଶରୀ ନାଟେଣ୍ଡୋ

ତୁମେହିଦାଖିତଲେହିଲନୀ,  
ଲାମ୍ବ ତେତରାଙ୍ଗ ନାତେଜୀ,  
ଖଦ୍ଗିଦାନ ଅଧିକେନ୍ଦ୍ରୀଦିନ –  
ମନୀଶି ରେଣ୍ଟିନେବାଙ୍ଗ.  
ଗାନ୍ଧୀଜିନ୍ଦା ପିଲ ରିଧେ  
ଏବଂ ପିଲାରି ନାତେଣ୍ଡି –  
ମନୀଶି ରେଣ୍ଟିନେବାଙ୍ଗ.

1996



## სად ჩემი ცა გაიხსნა

ჩემს აქ ყოფნას როდესაც,  
ჩემი ძველი კოლხეთის –  
მოსწყინდება ყურება,  
წლეულსა თუ გაისაღ:  
სად ჩემი ცა გაიხსნა,  
გვლავ იქ დაიხურება.

2003



## ხშრო

ქარი —

ხუროა,

სანაპიროსთან

აშენებს, ანგრევს ზეირთების კოშკებს  
და ზომავს სივრცეს ელვის  
არშინით.

ზღვა ცხელ ქვიშაზე წვება და  
ლოშნის,

ვითარც მეძავი ვნებააშლილი.

1959



## 06ვანტები

დამის მიღმა –  
დღეები სანთლებს ისევ  
ანთებენ  
და ლოცვები გაცვივა მხრებზე  
შემკრთალ იებად.  
არ გაქვს მეფის თიქუნი  
და არც ინფანტები,  
მაგრამ შენი სახელი,  
ვითარც მნათოა სხივები,  
ცაში და ცისქვეშეთში –  
ოქროდ კვლავ იფანტება.

1988

## გარსკვლავთა ქალაქში გსახლობ

მოსული დღიდან თუ დამიდან –  
მცხეთას და ბარისახოს,  
სიკვდილმა  
რომ ვედარ მნახოს.  
მზესთან და მთვარესთან ახლოს,  
გარსკვლავთა ქალაქში  
გსახლობ.

2004



## 03 რსა და ალაზანს

ცივგომბორს კვლავ ჩაესმის  
ხმა ბუკის და ნაღარის.  
ოორსა და ალაზანს –  
წევს მზე ნაყივჩაღარი.  
ელგა-შეკივლებაა,  
ქართველ დედის –  
საზარი.  
აქ ნიადაგ ხმიანობს,  
სხვა ქარი და სხვა ზარი.  
აქ ლანდი კვლავ მიმოდის –  
სკვითისა და ხაზარის.

1988



## ბზა და ბზა

როს ჩავუქროლეთ წეროვანს,  
შემოგვეგება შავშები,  
მზე ქალით,  
ვითარც ყივჩაღი.  
ქანდასთან ცლიდნენ შაშვები –  
სიმღერით სავსე  
ჩიჩახვებს.

1985



## თავი შენი შეიცან

უფლის მადლით მოსილი  
და მზის გვირგვინოსანი –  
საქართველოს გშენის ცა.  
ვიღაც კივის:  
მგოსანო!  
“თავი შენი შეიცან!”

1990



## ზარსულის ნოსტალგია

ვით მთვრალი ყარაჩოლელი,  
 მტკვარი თბილისში შემოდის  
 და ორთაჭალის ბაღებთან,  
 რომ ვერ ჭვრეტს ტურფა ხათუნებს,  
 გულზე ზვირთების –  
 მჯიდს იცემს,  
 ქვის კედლებს თავს უხათქუნებს.

1990



## მთები და მწვერვალები

ფეხზე დგანან მწვერვალები,  
ვით წამსვლელი მაყრები,  
თოვლს და ყინვას ხარხარებენ  
და სიმაღლით თვრებიან.

არავინ უწყის გასულია  
რა ჟამი და რა ხანი.  
ცხრათავიან დევებივით მთებიც  
ერთურთს შებმია  
და მოისმის მყინვარების –  
თეთრი რქების ჯახანი.

1957



## დაუგრძნია ცას პირი

დასალიერთან დრუბლები,  
 ქარმა დადგა,  
 ვით ზვინები.  
 ო, ალბათ წვიმას აპირებს.  
 დუმს ზღვა,  
 მთას შენარკინები.  
 დაუბჩნია ცას პირი  
 და უჩანს ოქროს კბილები.

1957



## ქუთაისი – 3600

საუკუნე კი არა,  
ბნელი ათასწლეულთა,  
ჩუმად გამოარდვია “აიამ”,  
ვით გუჯარმა.

საქართველოს მტერი რომ არასოდეს  
დამშვიდდეს:  
მზე ადგება ციხე-გოჯს,  
ურბნისსა და უჯარმას,  
მცხეთას, უქიმერიონს,  
თბილისსა და სამშვილდეს.

2004



\*\*\*

გეძებ და გეძებ, სიკვდილო,  
და წლებიც –  
ასე გადიან,  
იმედის ნერგიც გადახმა,  
რომ შენთან მოსვლა  
ხმალდახმალ –  
პირისპირ შებმა მწადია.

2004



## ისემც, თქჩენ რა გითხარით

გიდუღს სისხლი კოლხური  
და გრგვინავხარ  
თერგისებრ,  
თუმც საფლავი ოხრებმა  
მრავალჯერ გაგითხარეს.  
თქვენ დამარხავთ ეგრისელს?!  
ისემც, თქვენ რა გითხარით!

1995



\*\*\*

მზერა ცისკენ გაგირბის,  
მზის სიშორე გიტაცებს,  
გდევენ ქვით და  
ბელტებით,  
რადგან დედამიწაზე,  
ვერა და ვერ ეტევი.

2000



## პუტაია

ქჰ,  
რამდენი ხანია,  
ვაღამებ და ვათენებ  
ფიქრით,  
რომ კუტაია,  
უხნესია რვაასი –  
წლით,  
რომის და ათენის.

1971



\*\*\*

ვით არსებია ურიების ფართალს,  
ელვა,  
ცას არშინით  
ზომავს და მთებს აშინებს.  
ღამე,  
მთვარის შალაშინით,  
დილას აშალაშინებს.

1989



## თოთხმეტი პპიკაროსი

შალვა ბერიაშვილის ხსოვნას

აშ ოცდაცხრის, მაგრამ მაინც,  
თოთხმეტი წლის ბავშვი  
აქ წევს,  
რათუნდ ცამ დრო იპაროს.  
ქარი ხსოვნად ისევ არწევს –  
თოთხმეტ მწვანე კვიპაროსს.

2003



\*\*\*

ნაიარევის მკურნალად,  
 არა ჩანს ქოხი,  
 არც სტგირი.  
 დღეები სულს კვლავ დაფავენ.  
 და სადღაც დამე დასტირის –  
 დაუტირებელ საფლავებს.

1993



## პიპეთში

ნაძვები მწვანე წიწვებით,  
ფეხისწვერებზე იწევენ,  
რომ დაგინახონ შორიდან.  
მთები კი დუმან კიკეთის.  
მისებრ ლამაზს და შესამგვანს,  
ცა იხსნის,  
ისევ იკეთებს,  
ელგის მეტამულ ყელსაბამს.

1977



## 60601

შემოეყარა თონეთან  
მტერს,  
გუთნისდედა ნინია,  
იშიშვლა გველისპირული  
და მომხდურს ისე  
შეაკვდა,  
ერთიც არ დაუგმინია.

1979



## სგანურად პჰობს პართაგმი

ისტორიის დუმს მინდორი,

ომის ცეცხლი,

კვლავ მძვინვარებს –

იწვის თებე და სიღონი,

ლარსა, ლაგაშ –

შუამდინარეთს.

სძინავს კოლხთა ნასახლარებს,

თითქოს და ნაღვინევია.

წუხს, წარსულის კართან გემი.

მეგრულად ბჭობს ნინევია,

და სვანურად კართაგენი.


1960



\*\*\*

ვით “კრიმანჭულად” გურული,  
სიცოცხლეს და სიყვარულს,  
ათასწლეულს –  
გასძახებს.  
ასე მზით გადახურული,  
– იქნება „კოლხურ ფსალმუნთა“  
ცამდე აწვდილ სასახლე.

1996



\*\*\*

უსაზღვრეობის ნისლებში გახვეულს  
და მიზეზს იდუმალ,  
შორეულ ოხვრათა.

ქლვა –

ცის სულია,  
რომ გიხმობს ცახცახით  
შენ –

სტუმარს წამიერს,  
მიწიერ ქოხმახთა  
და მუდმივ ბინადრს –  
ვარსკვლავთა სასახლის...

2003



\*\*\*

სიცოცხლით სავსე დღეთა მეუფეს,  
განა სიკვდილზე ფიქრი  
დამღლიდა,  
ჩემო დენიზავ,  
ჩემო დიანავ,  
თქვენი ხმა ჩუმი და  
სევდიანი,  
რომ არ მესმოდეს მუდამ გაღმიდან.

2004



\*\*\*

სივრცე გაბურძგლა ჭოტის კივილმა,  
როცა გააპო ბნელი  
  სიათამ,  
დაფრთხა ფრინველი,  
დაიკნავლა სადღაც ტყიურმა.  
მერე უეცრად მიწყდა სქვიასთან  
ტყის და ნადირის  
  უგერტიურა.

1964



## 0340160

მხრებჩამოყრილი დგანან თხმელები  
და ხვატით დამწვარ ცას  
გაჰყურებენ.  
არ ჭიხვინებენ ღელები –  
ურა კვიცები.  
დაუცექეტიათ კურდღლებივით  
ფოთლებს ყურები, –  
წვიმის ფეხისხმას მოელიან  
გაფაციცებით.

1960



## ჭუხილი

დილის ცივ ნიავს არ აკარებდი  
და უამრავი დამე უთიქ,  
რომ ყოფილიყვნენ,  
განა, ვინმე რამეს უშლიდათ.  
ახლა ერთი და,  
ძმა კი ხუთივე,  
დედა,  
შენს გვერდით წვანან გულმშვიდად.

2002



## მთვარეც მზე არის

გადმოხვეწილი ღამის იქიდან,  
მიუსაფრობას ქარიშხალი  
კივის და კივის.  
ზღვა, თავს ნაპირთან თამაშით  
ირთობს,  
მთვარეც მზე არის,  
მაგრამ ღამით ის არის ცივი,  
რადგან აკლდება მირიადი  
თვალების სითბო.

1969



## ჯვარი გმირია

მესიზმრა: ცეცხლი ეკიდა,  
სადღაც, ვიღაცის კერიას,  
ვფიქრობდი: ცისქვეშ ქვეყანა,  
ერთია, განა ორია.  
ვაჟ! თუ იქ ჩემიც ერია.  
სულ მტრისას,  
ჯა-ქა-ბორიას!  
სამშობლოვ! ჯვარი გწერია.

1991



## ლეგენდა და სინამდვილე

ვითარც ქრისტე ბეთლემს ბაგიო

იშვა...

ისიც ჩელიზე ფაცხის.

არც მიწის და... ნაღდად არც ცის.

სულ იღხინე...

ინადიმე...

და ქალაქში დადის კაცი –

ლეგენდა და სინამდვილე.

1970



## ბრძანო ნიგაღავ

ფიროსმანო!

შენ საწყალო, ბრძენო ნიკაღავ!

მარადისობის უდაბნოში გზას რომ

მიკვაღავ –

ყალმით, ხმიადით,

და ძირმწარე ჭიქა არაყით,

ძველი ცილინდრით და ახალი

ღვთის სიამაყით.

უკან მოგდევენ ფეხშიშველი

ჩემი ლექსები,

მოგტირიან და სიბრალულით

თვალი ევსებათ.

1990



## დილება

უფალმა უწყის –  
მოვდივართ,  
შუმერიდან თუ ხეთიდან,  
ვერ ვხედავთ, რადგან შუა დგანან  
მოქბი –  
ღმერთების დახლები.  
და მოკვდავთ ერთი სული გვაქვს,  
ამ მღვრიე ჯოჯოხეთიდან,  
იმ სამოთხეში უკლებლივ,  
თუ როდის გადავსახლდებით.

1999



## დიდგორი – 2002

დიდგორისაკენ ავტოთი –

მივსდევდით ერთიმეორეს  
(ხელი ხმალს ვიკარ ოცნებით).

და ვით დავითის მეომრებს:

გზა-გზა საფლავებს ხელთეპყრათ –  
შებები –

კვიპაროსების.

2002



## ჩემია გულმა თუ გაშალო

სიცოცხლე და სიყვარული,  
 ჩემში დასაბამით ფუძობს,  
     ამას ვამბობ დიაღაც:  
 ჩემმა გულმა თუ გაუძლო,  
 შენთან ყოვნის სიხარულის,  
     უცებ მომსკდარ ნიაღვარს.

1974



## გათოლივი

გაფანტულია ცაში გარსკვლავად,  
მიმოყრილია –

უშქარ პლანეტად  
და შორეული ათოვს მთიები.  
წევს მღელვარ ფსკერზე  
ოკეანეთა,

შენი ლექსების ბათოლიები\*.

1990

---

\* ბათოლიები – (ბერძნ.) უზარმაზარი გრანიტის  
მასივები.



## შგავები

მწუხრით მოსილნი სხედან ყვავები  
საფლავის ლოდზე,  
უხმოდ,  
უგულოდ,  
ვითარც ლანდები, ადრე წასულ  
ჭირისუფალთა.  
თავდავიწყებით გალობს ბულბული  
და ამით ახლოს მიდის უფალთან.

1986



## ჩემს მპიტხებულებს

თქვენა ხართ ჩემი ლოცვის ტაძარი,  
დავრეკო ზარი,  
მაშინ მაძალებო  
როცა სიცოცხლის მჭირს უმაღლბა!  
ლამაზებო და ღმერთო  
მსგავსებო,  
მსურს მამა-უფალს ვუთხრა მაღლობა,  
ამქვეყანაზე – თქვენ რომ მყავხართ,  
თქვენ რომ არსებობთ.

1991



\*\*\*

მოკვდავთ,  
ფრთაშავი არყოფნა,  
თავს დაგვტრიალებს  
ქორივით,  
არ იცის მან პატიება.  
ჩვენ კი ბაჯაღლო მთიქბით  
გველის ცა –  
მოქროვილი.

2000



ALBERTSU

## აპასზემივით

შენი ჩუმი ძახილი,  
გითარც ქროლა აურის,  
საუკუნის კი არა,  
ათასწლეულს ჩაუვლის,  
გარსკვალვებით ნაწერი –  
ცის ქათქათა წერილით.  
ზღვად რომ კოშკი ააგე,  
შენც გაქვს “დანაშაული”,  
უნდა იხეტიალო აწი  
აპასფერივით.

1970



## ოქროს საზმისის განსევება

ცისპენ მიიწევს წართმეული  
ჩემი ღირსება,  
კოლხთა წარსული,  
როცა შორით მენარგისება,  
ხვალის იმედი,  
ვით ახალი მთვარე ივსება.

1999



## სულები გაგაცილებენ

შორეულ გზაზე მიმავალს,  
რომ აგიბნიონ გზა-კვალი,  
აიშლებიან მზაკვარნი,  
მთებს მიღმა, ვით მაცილები.  
მათგან დანდობას არ ელი,  
მაგრამ შენ,  
შენი მფარველი –  
სულები გაგაცილებენ.

2003



## ცეცხლის გამოღვიძება

თოვლის თეთრი ხარხარით  
მთებმა –

შენმა დვიძლებმა,  
მიმწუხრის ჟამს მახარეს,  
შენში ოდით მთვლემარე –  
ცეცხლის გამოღვიძება.

1969



## რაღუამ ან იამამ

კარმის სარკის დაფაზე –  
სული თუ დაგიამა,  
რადუამ ან იამამ,  
მაშინ დრო შეაფასებს –  
შენს საქმეთა სიამეს  
და იქროლებს –  
ნიავად.

1970



## რაა გაცის სიცოცხლე

უთენია გვალვიძებს მზე –  
ზეცის გულში ნადები  
და თეთრი დღე იბადება –  
მთვარისფერი აფრებით.  
რაა ჩვენი სიცოცხლე?!  
– სიკვდილისთვის მზადება  
და სხვა აღარაფერი.

2004



## აზხევნით მოვა მარილი

მცხეთას მირონი იდუდებს,  
აღსდგება კვლავ სარკინეთი.  
აღზევნით მოვა მარილი.

ო,

რა კარგია იმედი,  
როს რეკავს დედოზარივით.

1989



\*\*\*

დუმს მოები ურთა-აბასთუმანის,  
 მაგრამ ყულევთან,  
 შავი ზღვის კარად,  
 მოჩანს ღრუბელი ჩამოძენილი.  
 ოქროს მატყლიან –  
 ვარსკვლავთა ფარას  
 მიუძღის მთვარე,  
 რქამოტეხილ ბებერ გერძივით.

1961



## სხვაა, ცა აქაშრი

მეფობს უსასრულობა  
და დაფრინავს ოცნება...  
იქ მოსახლე მთიები,  
თავს იკლავენ ხმაურით.  
იქ ვერ აღწევს გოდება,  
იქ ვერ აღწევს ლოცვები,  
ოქროს ძაფით ნაქსოვი –  
სხვაა,  
ცა იქაური.

1966




## ଓଜୋଦା ଜାତୀୟକାନ୍ତିରାଜୀ

ଗାନ୍ଧାମାଲ୍‌ପୁଲା ମତେହିସ ନିଜିତ,  
ଅର ଖାନ୍‌ ଲାଲ୍‌ପୁଲା  
ଫ୍ରାନ୍‌ଚିନ୍‌.

ଜୀବନ କି ଲାମିଲେ କ୍ଷେତ୍ରରେ ଏହିପଦା.  
ବାନ ଗାନ୍ଧାମାଲ୍‌ପୁଲା,  
ଓ ବାନ ବ୍ୟାପାର ଉପରା  
ଫ୍ରାନ୍‌ଚିନ୍‌  
ତିତକ୍ଷେତ୍ରରେ କାହାଲେ ଆମଦାଗି କ୍ଷେତ୍ରରେ  
ନାହିଁବେଳେ-ନାହିଁବେଳେ...

1960



## მონაც ხარ და მეუზეც

რადგან შენმა დღეებმა,  
შენი ცხოვრების უდელს –  
მზე და მთვარეს შეუბეს,  
რადგან დღემდე მოხვედი.  
მონაც ხარ და მეუზეც –  
შენ –  
ზღაპრული კოლხეთის.

2004



## ოქროს ღეზებიანი გარსკვლავები

დილის უფსკრულში ცვივიან,

როს ცაში ყოფნა

ბეზრდებათ.

არსებობს სხვა მიზეზები,

რომ მიმწუხრისას

გზრდებათ,

ვარსკვლავებს ოქროს დეზები.

1960



## დილა მთებში

ცისქენ მზირალ ვარსკვლავებზე  
დილა –  
ნათელს რომ ალესავს,  
ჩანჩქერების წყდება ყევა.  
ის ხმა მესმის,  
ვახტანგ მეფეს,  
ერთხელ ციდან რომ ჩაესმა.

1957



## ქრისტე იმზირებოდა

მიმწუხარისას სანთელი  
გერ დავწვი,  
გერ ვილოცკე,  
ალბათ იყო ნაწყენი,  
თვალი რომ ამარიდა,  
ქრისტე იმზირებოდა –  
გამთენის მოვარიდან.

1960



## ხმა არის ნაზარეველის

სამყაროს მანათობელი –  
მზე არის ოქროს  
გვირგვინი,  
ჩვენი მწყემსის და მეველის.  
და შორს  
რომ გადაიგრგვინა –  
ხმა არის ნაზარეველის.

1957

## შპგლავი სული

ჩემში ბინადრობ უცხო ჩიტივით,  
 დღე და ღამე კი –  
 შენი ფრთებია  
 და მიგაქროლებს მზის ენერგია.  
 ოთხივე სქნელში,  
 შენ ხარ ნამყოფი,  
 ახალი მთვარე შენი ნერგია –  
 ჩამოხუნძლული –  
 ოქროს ნაყოფით.

1998



## გოტიკა

ვითარც საბა იტყოდა,  
ყოფნა ძუის მახეა  
ანუ არის პოტიკი.  
შენს ლექსებში მარხია –  
ისარივით ნატყორცნი,  
სტრიქონების –  
გოტიკა\*.

1980

---

\* გოტიკა (გერმ.) – ხუროთმოძღვრული სტილი



## მიყვარხარ

ამდენსანს გულით ნაზიდი,  
მსურს,  
რომ ფიქრები გაგანდო...  
მიყვარხარ! –  
ვამბობ კაცურად.  
შენთვის ქვას ქვაზე დავადნობ,  
ოკეანესაც გავცურავ.

1962



## სადღაც გალაზტიკაში

ეს სამყარო შენია,  
და რა უნდა ინატრო,  
უსამანო სივრცეში,  
ვითარც ადრე, კვლავ მიჰქრი,  
რადგანაც შენ ბინადრობ  
სადღაც გალაქტიკაში,  
სადღაც პლანეტებს იქით.


1998



## გელი უფრო შარმს

ნისლის ყავრით კი არა,  
 დარდით გადახურული,  
 ჩემი ყოფნა ზღვაა და  
 არის დელვა ვნებათა.  
 გრიგალებმა ჩემს დღეებს  
 რისხვად გადაუარეს  
 და წარმტაცეს ყოველი,  
 რაც სიკეთე მებადა.  
 მაგრამ ეგ არაუერი,  
 ველი უფრო უარესს.

2001



## მაპრალები

სულ შორეულ წარსულში,  
დავიწყების ნაპირზე,  
კვლავ სხედან მაკრალები,  
ისე, როგორც გუთები,  
და ცრემლიან –  
თვალებით –  
კოლხეთს დამეს უთევენ.

1967



## გადასასვლელი ზოდი

ვით წინათ,  
სუფევს ქაოსი,  
ჟამთა მდინარე მიღის...  
მტკრევის ხმა ისმის ქვითკირთა.  
სიცოცხლე არის –  
სიკვდილთან,  
გადასასვლელი ხიდი.

1959



## მღვრივ და ასტრალური

მზით დამწვარი ფრთებით და  
ცის დათხრილი თვალებით,  
მიღმეთიდან მოფრენილ  
დღეებს უთხარ არული,  
თავზე რომ დაგბრუნავენ –  
საუკუნის ქუხილად.  
იდუმალ გხმობს სამყარო –  
მდგრიე და ასტრალური,  
და ერთად ჭერებ შორეულ  
ხილულსა და უხილავს.


1979



## ბესმის აშრზაშრი

ამაყსა და ამბოკარს,  
გესმის აურზაური,  
სულთა,  
ნისლით მოსილთა.  
და ნათელი ამოგყავს –  
ოვალბნელი ქაოსიდან.

2002



\*\*\*

ლოცვად დგას მაცხოვრის წინაშე,

ლაშარის და ჯვარი

ლომისის:

— მიუზღვას რწმენის ხის

ამომთხრელს.

ადამის ხმა არის,

მწუხარიდან —

წუხილად რომ ისმის,

გლოვობს და მისტირის —

დაკარგულ სამოთხეს.

1970

\*\*\*

მნათნი სინათლის ხელებს გიწვდიან,  
 მისდევ მწვერვალებს,  
 ცად ასასვლელ წყვდიადს მიიკვლევ,  
 ყომრალი დამე უკვე ბაცდება.  
 და თუ დაეცი წუთისოფლის  
 ელვის ბილიკზე,  
 მაშინ, ო,  
 მაშინ დედამიწა შებარბაცდება.

2004



\*\*\*

ზვირთებში არა,  
ციცქნა ზდვის ქაფში,  
სიცოცხლე მალვე უნდა მოდიდდეს:  
თვალებს გაახელს აქ აფროდიტე  
და ნისლეულში –  
მიძინებულ სანაპიროზე,  
გჯჟვება ღელვას დასავლეთით,  
გით ასპიროზი.

1978



\*\*\*

ნათლის წყვდიადში რადგან მოვედი,  
მწამდა,

საწუთრო,

ათას ჭირს და ვარამს შემურიდა.

და თუ არა შენ,

ეს წალკოტი ვის გავუშენო?!

მე ვერ მოვკვდები,


ვედარ წავალ მე ამ ქვეყნიდან,

სამშობლოვ!

ყოფნა,

რადგან აღარ ძალმიძს უშენოდ.

1991



## გუსმობ ყამარს და სვერამზეს

ვითარცა ამირანი,

ან

თავფარავნელი ჭაბუკი

(აშ მოვარესავით ჭარმაგი).

მივალ და დარდის შარაზე –

“რა ვქნისა” – ციხე ავაგე,

ვუხმობ ყამარს და სვერამზეს.

1961



## მე და ჩვენი ორგანიზაციი

აქ –

არყოფნის სენტებრილი

და სიბერე მორეული,

ჭაბუკივით ისევ ჩქარა,

მიუუყვებით სოფლის შარას,

მე და ჩემი –

ორეული.

2003



## საქართველოში

ახლა საქართველოში,  
არც დღეა და  
                არც დამე, –  
აი, მე რა მაწამებს.  
მთვარეც არ ახამხამებს  
მზით გატრუსულ –  
                წამწამებს.

1995



## ცისკრის გარსპოლავის გამოხადვაში

განთიადისას ვეწვიეთ და...

დუმდა მთაწმინდა –

მგოსანო სავანე და

საფიცარი.

და როცა ჯიხვით შეგსვით ზედაშე,

ავხედეთ ცას და

ვაჟა ვიცანით,

ცისკრის ვარსკვლავის გამოხადვაში.

1965



## გადგას ბვირბვინი

ვინ იცის,  
რას იქმს ოცდამეერთე?!  
საუკუნეებ კი,  
დიდმა მეოცემ,  
შენს ცაზე უცებ გადაიგრგვინა,  
თუმც ბევრი დამე თეთრად ათია.  
თავზე დილის მზის  
გადგას გვირგვინი,  
და შენს თვალებში ვხედავ განთიადს.

2001



## სიყვარულის იმპერიებს

მოგონების სკივრებიდან –  
აღმოხდებათ ზოგჯერ გმინვა –  
ამ ფერიებს,  
იმ ფერიებს,  
რადგან მათში აღარ სძინავს –  
სიყვარულის იმპერიებს.

1967



## ბსურდა დიღხანს გელოცა

სამშობლოსთვის ყოველთვის,  
ხმალს მოჰკავდი ალესილს,  
რადგან ქართვლის ტაძარში –  
გსურდა დიდხანს გელოცა.  
და ცრემლიან თვალებში –  
გედგა საქართველოს ცა.

1967



\*\*\*

ლამის მიღმა –  
 დდის ჭიშკართან,  
 ცეცხლოვან მზის ჩანს ნატურა,  
 ცას რომ მნათი  
 აღარ შერჩა, –  
 შეიცხადა ტყეში ტურამ,  
 მთვარემ მხრები აიჩეჩა.

1961



## ნამგები სასაფლაოზ

ვეღარ აკავებს ქუბოს ფიცრები  
და ვერც ბეტონის  
სქელი კედლები,  
ამოდის სული სამარედან  
და მოწიწებით –  
